პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 148 (12660) | სამშაბათი, 25 ივნისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

მსოფლიოს ქალთა დიდი ასამბლეა

გაიხსნა მსოფლიოს ქალთა დიდი ასამბლეა! უძველეს და მარად ახალგაზრდა კრემლში შეიკრიბნენ დედამიწის ხუთი კონტინენტის წარმომადგენლები. ქალებმა — დედებმა, ცოლებმა, დებმა, სხვადასხვა რასისა და ეროვნების, კანის ფერის, კილოსა და ენის ქალებმა, ქალებმა — მუშებმა და გლეხებმა, მეცნიერებმა და დიასახლისებმა, ექიმებმა და სახოგადო მოღვაწეებმა მიატოვეს თავიანთი საქმეები და ოჯახები, გადალახეს უზარმაზარი მანძილი და 24 ივნისს მოვიდნენ დიდებულ ყრილობათა სასახლეში, მოვიდნენ, რათა თავიანთი მეგობრების სახელით განაცხადონ, რომ გადაჭრით გმობენ ომს, ერთხელ კიდევ გამოთქვან ურყევი ნება იბრძოლონ მშვიდობისათვის, დედამიწის ყველა ბავშვის ბედნიერებისათვის.

ამ დილის ჟამს სასახლეში თითქოს პლანეტის ყველა ფერი აკიაფდა: ფერადი ოდღური სარები, აფრიკელთა თავისებური ტანსაცმელი, ევროპის ქვეყნების წარმომადგენელთა სადა კოსტუმები წარმტაც სურათს ქმნიან. ქალთა ფორუმის მონაწილეებს ყველგან ეგებებიან ყვავილით, თითქოს ყვავილთა ჭიელ ხალიჩას დაუფარავს მთელი უზარმაზარი დარბაზი. მისი ყველაზე მდიდრული გამით შემოსილია სცენა, რომელზეც აღმართულია ქალთა მსოფლიო კონგრესის ემბლემა—ერთი საერთო ცისფერი თავსაფარი ახურავს თეთრკანიან, ყვითელკანიან, შავკანიან ქალებს.

გახსნამდე რამდენიმე წუთი დარჩა... ... ლი დედამიწა- გამოსტაცეს ფეხს ქვეშ ... სიყვარულ... ... ბრეზნევიანმა შეიჭრნენ ქალთა სერ- თაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე ეფენი კოტონი და ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე ... ...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში

ნათელი პროგრამა

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დიდი და მრავალეროვანი კოლექტივი უდიდესი ინტერესით განიხილავს და მხურვალედ იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს და მასალებს. ეს პლენუმი მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი პარტიის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; პლენუმის მასალები აღგვაფრთოვანებენ ახალი შრომითი აღმავლობისათვის.

ქარხნის 100-ზე მეტი აგიტატორი, 50-ზე მეტი პროპაგანდისტი და ლექტორი განუმარტავს მუშებს ამ დიდმნიშვნელოვანი პლენუმის დოკუმენტების შინაარსს. ისინი მანქანათმშენებლებს მოუთხრობენ კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა, იმ წარმატებათა შესახებ, რომლებიც ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა საბჭოთა ხალხმა განვლილ ათწლეულში. ეს წარმატებები ნათლად ჩანს თუნდაც ჩვენი ქარხნის მაგალითზე.

შვიდწლედის განვლილ ოთხ წელიწადში ჩვენთან სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ორნახევარჯერ გადიდდა, ხოლო ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება 160 პროცენტით გაიზარდა. ქარხანამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე მიმდინარე წლის 5 თვის დავალება. საგულისხმოა, რომ მარტო ზეგეგმიერმა მოგებამ 350.000 მანეთი შეადგინა.

საწარმოს ამ წარმატებებში დიდი როლი შეასრულა პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურმა, თანმიმდევრულმა მუშაობამ კოლექტივის თვითეული წევრის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მათში შრომისადმი, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდისათვის.

პლენუმის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ იდეოლოგიურ მუშაობას, სრულყოფთ ამ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. დასახული გვაქვს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კონკრეტული გეგმა ზაფხულის პერიოდისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქარხნის ლექტორიუმის და საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტის ძალებით ლექციური პროპაგანდის გაძლიერებას.

ჩვენი ქარხნის კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილებაა ვადამდე აიღოს შვიდწლედის ზღუდეები, განუხრელად იაროს წინ, პარტიის ლენინური კურსით.

შ. სანიკიძე,

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ცხოვრებასთან კავშირით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში საგანგებო ყურადღებას ექცევა ის, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა უნდა წარმოებდეს ცხოვრებასთან განუყოფელი კავშირით, უნდა გიბრძოლოთ იმისათვის, რომ მიღებული ცოდნა ეხმარებოდეს მშრომელებს მიაღწიონ საუკეთესო შედეგს წარმოებაში, ხელს უწყობდეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კომუნისტური მორალის დამკვიდრებას.

ადამიანის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა ნიშნავს იმას, რომ კარგი მუშა, რომელიც მაღალნაყოფიერად მუშაობს, გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს, იძლევა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას, მის გვერდზე მომუშავესაც არ უნდა დაანებოს იმუშაოს იმაზე ნაკლებად, ვიდრე თვითონ მუშაობს. თუ ასეთი სულისკვეთებით აღვზრდით ყველა მუშას, ეს იმას ნიშნავს, რომ წოვატორთა შრომითი მაჩვენებლის დონეზე ავიყვანთ წარმოების საერთო მაჩვენებელს და ამით ღირსეულ წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

ჩვენს ფაბრიკაში კიდევ უფრო გავაფართოებთ ბრძოლას კომუნისტური შრომისათვის, რომელშიც ორგანულად არის შეხამებული ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, ახალი ტექნიკის დაუფლებისათვის, მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის.

მუშათა კომუნისტური აღზრდის გზით გაბედულად ვივლით წინ, შვიდწლედის ახალი მიჯნების დასაპყრობად.

ნინო ჟვანია,

თბილისის აბრეშუმაქსოვი ფაბრიკის დირექტორი.

დამკვრელური შრომა

ახალციხე. (ტელეგრაფით). როგორც ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ხარისხარიშვილი და საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. ვ. გოგიბერიძე იტყობინებიან, ახალციხის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სასახელოდ შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 109,5 პროცენტით, რძის — 107, მატყლის — 208, კვერცხის — 102 პროცენტით. ასევე გადაჭარბებით შესრულდა მსხვილი ტყავის, ღორის ტყავის, ბეწვეულის, ეურკეულის, ნაწლავი ნედლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებით აღფრთოვანებული ახალციხელი მშრომელები ახლა სახელმწიფოს მეცხოველეობის პროდუქტებს აძლევენ წლის მეორე ნახევრის ანგარიშში.

წინა პლანზეა მშრომელთა აღზრდა

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალშენელი მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც მოცემულია კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანების აღზრდის ძირითადი პრინციპები და ამოცანები.

ჩვენი კოლმეურნეობის 14 ბრიგადასა და 56 რგოლს პლენუმის მასალებს აცნობს 24 აგიტატორი და წამკითხველი. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ აგიტატორები ს. მეფარიშვილი, ლ. სამსონაძე, ნ. ჩამსა, ა. ბასილაძე და სხვები. კოლმეურნეობის ბრიგადებსა და რგოლებში რეგულარულად გამოდის საველე ფურცლები.

დიდი ყურადღება ექცევა თვალსაჩინო აგიტაციას. სოფლის ცენტრში, ბრიგადებში, რგოლებში, გზაჯვარედინებზე და საველე ფარდულებში გამოკრულია მამობილიზებელი ლოზუნგები, კოლმეურნეობის წარმატებათა ამსახველი დიაგრამები. სოფლის მშრომელთათვის სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, საბუნებისმეტყველო და ათეისტურ თემებზე. სოფლის კულტურის სახლში ხშირად ეწყობა საღამო-კონცერტები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, კითხველთა კონფერენციები და სხვ.

კარგი საგიტაციო მუშაობა კოლმეურნეობის წარმატების გასაღებია. ჯერ კიდევ პლენუმის მუშაობის დღეებში ახალშენელმა მეჩაიეებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. უკვე მოკრეფილია 500 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო", რაც წლიური გეგმის 65 პროცენტს აღემატება. მეჩაიეებმა გადაწყვიტეს შვიდწლედის მეხუთე წლის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 128 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

შ. სურმანიძე,

ჩაქვის რაიონის ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი.

კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე საბჭოთა ხალხის ბრძოლა შრომაში, პარტიისა და ჩვენი ქვეყნის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში — ყველაზე მნიშვნელოვანი

წინასწარის იარაღი

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სართავ საამქროში მუშებს გამოუცხადეს: ხვალ შესვენების დროს მოეწყობა აგიტატორის საუბარი თემაზე „შრომის ნაყოფიერების ზრდის საერთო-სახალხო მნიშვნელობა".

შესვენება დაიწყო. მუშები უკლებლივ შეიკრიბნენ საამქროში. აგიტატორმა ლ. ჯეირანაშვილმა უხის წიგნაკი გადაშალა და საუბარი დაიწყო:

— ამხანაგებო! დღევანდელი ჩვენი საუბრის თემა შრომის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელობას შეეხება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა განხილა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები. პლენუმის დადგენილებაში და სხვა მასალებში ყველგან ხაზგასმულია რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა უნდა წარმოებდეს ცხოვრებასთან განუყოფელი კავშირით, უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მიღებული ცოდნა ეხმარებოდეს მშრომელებს მიაღწიონ საუკეთესო შედეგს წარმოებაში, ხელს უწყობდეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კომუნისტური მორალის დამკვიდრებას.

ადამიანის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა ნიშნავს იმას, რომ კარგი მუშა, რომელიც მაღალნაყოფიერად მუშაობს, გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს, იძლევა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას, მის გვერდზე მომუშავესაც არ უნდა დაანებოს იმუშაოს იმაზე ნაკლებად, ვიდრე თვითონ მუშაობს. თუ ასეთი სულისკვეთებით აღვზრდით ყველა მუშას, ეს იმას ნიშნავს, რომ წოვატორთა შრომითი მაჩვენებლის დონეზე ავიყვანთ წარმოების საერთო მაჩვენებელს და ამით ღირსეულ წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელება თავდადებული შრომით შეიძლება.

ბევრგან წარმოების ხელმძღვანელები საერთო გეგმის შესრულებით კმაყოფილდებიან, ანალიზს არ უკეთებენ გეგმის შესრულებას, არ იციან, რა იმალება მის უკან, თუ გეგმა შესრულდა და დაუშვი დიდი გადახარჯვა, თუ მუშათა გამომუშავება წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერებას, რის მაქნისია ასეთი გეგმის შესრულება.

ხშირად ერთეული ადამიანების მაღალნაყოფიერი შრომით ვკმაყოფილდებით და ვავიწყდება, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადებას მოწინავეთა რეკორდები კი არ წყვეტს, არამედ მუშაკთა მთელი მასის მაღალნაყოფიერი შრომა. უნდა მიგაღწიოთ იმის, რომ ნოვატორთა შრომითი მაჩვენებლების დონეზე ავიყვანოთ მთელი კოლექტივის მაჩვენებელი. ცხადია, ამას რომ მიგაღწევთ, შრომის ნაყოფიერება ერთიორად გაიზრდება, გაიზრდება პროდუქციის გამოშვებაც, შეიქმნება პროდუქტების სიუხვე.

ყოველივე ამის ნათელსაყოფად ვილაპარაკოთ ჩვენი წარმოების მაგალითზე. შვიდწლედის პირველი დღეებიდანვე წარმოების ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ამოცანად დაუსახეთ კოლექტივში შეგვექმნა ერთსულოვნება, მიგვეღწია იმისათვის, რომ წარმოებაში არ ყოფილიყო არათუ ჩამორჩენილი უბანი ან საამქრო, არამედ თუნდაც ერთი კაცი. გონივრული შრომით ამას მივაღწიეთ, და შედეგები სასიხარულოა.

შვიდწლედის საკონტროლო ციფრები ყველა მაჩვენებლის მიხედვით უკან მოვიტოვეთ და გაბედული ნაბიჯით მივდივართ წინ, ახალი მიჯნების დასაპყრობად. შვიდწლედის განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებლები გეგმასთან შედარებით ასეთ სურათს იძლევა. 1959 წელს გაიზარდა 5,2 პროცენტით, 1961 წელს—2,9 პროცენტით, 1962 წელს — 3,5 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის ოთხ თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმასთან შედარებით 2,6 პროცენტი შეადგინა.

ასეთე საწარმოო ფართობის გაუდიდებლად ყოველწლიურად იზრდებოდა პროდუქციის გამოშვება. 1959 წელს პროდუქციის გამოშვების ზრდამ შეადგინა 3,6 პროცენტი, 1960 წელს — 6,7 პროცენტი, 1961 წელს — 5 პროცენტი, 1962 წელს — 14,8 პროცენტი, ხოლო მიმდინარე წლის ოთხ თვეში პროდუქციის გამოშვების ზრდამ გეგმით გათვალისწინებულს 4,6 პროცენტით გადააჭარბა.

თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ ჩვენი კომბინატი წლების განმავლობაში სახელმწიფოსაგან დოტაციას იღებდა. ეს დიდი მინუსია წარმოებისათვის. შვიდწლედის განვლილ პერიოდში მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად ზარალი ყოველწლიურად მცირდებოდა. 1962 წელს ამ მაჩვენებლებს ეწეოდნენ მუშები საბერტყი მანქანიდან ხვეულის მოხსნაზე. მას შემდეგ, რაც ამ სამუშაოს ავტომატები ასრულებენ, შემსუბუქდა ადამიანის შრომა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ასევე დიდად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას შიდასაწარმოო მექანიზებული ტრანსპორტის მოწყობა, რომელიც სანახევროდ განხორციელებულია. ამა იანგარიშით, რამდენი მუშა გათავისუფლდა მძიმე შრომისაგან, იანგარიშით მათი ხელფასი. ახალი ტექნიკა ჩვენთან სწრაფად ინერგება, საქმეც მიდის წინ.

მ. ბიბაული — ნოვატორი მრთველი. ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვა კარგია. მაგრამ შრომის ნაყოფიერების ყველაზე დიდი რეზერვია ის, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადების, ცალკეული ნოვატორების შრომითი მაჩვენებლების დონეზე ავიყვანოთ წარმოების საერთო მაჩვენებელი.

ჩვენს საწარმოში, — განაგრძობს აგიტატორი, — გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც ორმაგად ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, იძლევიან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას. ამ ადამიანებს თქვენ კარგად იცნობთ. მთავარია ასეთი ადამიანები ბევრი გვყავდეს. ამისათვის საჭიროა პრაქტიკულად, საქმით დაეეხმაროთ იმ ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც ჩვენს წარმოებაში მოვიდნენ. და თუ მოკლე ვადაში მივაღწევთ იმას, რომ ყველა მუშა გადაჭარბებით ასრულებდეს ყოველდღიურ დავალებას და იძლეოდეს კარგი ხარისხის პროდუქციას, ამით უზრუნველვყოფთ შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

თვითეულ მშრომელს უნდა ჩავუნერგოთ იმის ნათელი გაგება, რომ შრომის უმაღლესი ნაყოფიერების უზრუნველყოფა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა, კომუნიზმის აშენების მთავარი კირობაა; ფართოდ უნდა განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება, დანერგოთ მოწინავე გამოცდილება. პატივისცემით მოვეკიროთ შრომის ნამატ ბიუროკრატიული დამოკიდებულების წინააღმდეგ; დავრაზმოთ საზოგადოებრივობის მთელი ძალები მუშათა-შრომის, ლოთობისა და ზარმაცების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან

რენტაბელობის მაღალი ბერკეტი

აგიტატორის საუბარი

შრომის ნაყოფიერება წარმოების მთავარი ფაქტორია

დაგეგმილი ზარალი — 229 ათასი მანეთი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებითა და მასალების ეკონომიით მიღებულმა მოგებამ თითქმის მთლიანად დაფარა.

1963 წლის პირველ დღეებში წარმოების აქტივმა ღრმა ანალიზი გაუკეთა გაწეულ მუშაობას, გამოავლინა ახალი რეზერვები. ქუთაისელ ავტომშენებელთა ინიციატივას — უარი თქვან სახელმწიფო დოტაციაზე, 1963 წელს მიიღონ რენტაბელური მუშაობის სიმწიფის ატესტატი — რესპუბლიკის საწარმოთა შორის პირველი გამოეხმაურა ჩვენი კომბინატის კოლექტივი, რომელმაც უარი თქვა სახელმწიფო დოტაციაზე და იკისრა წელს სახელმწიფოს მისცეს 130 ათასი მანეთი დაგროვება.

ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის საამქროებსა და ცალკეულ ბრიგადებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. პირველი შედეგები სასიხარულოა. პირველ კვარტალში დაზოგილია 26 ტონა ბამბა, 32.500 კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 105 ტონა პირობითი საწვავი, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 177 ათასი მანეთით, ხოლო შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით ამაღლდა. ოთხ თვეში მიღებულმა დაგროვებამ 156 ათასი მანეთი შეადგინა, რითაც წლიური დაგროვების გეგმას უკვე 20 ათასი მანეთით გადავეარბეთ. ამ წარმატების შემდეგ მტკიცე საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ წარმოების კოლექტივი ჩაბარებს გამოცდას რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატზე".

ჩვენს მოწმე ხართ, რომ ეს წარმატება ჩვენ მოვიპოვეთ ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვით, შრომის ნაყოფიერების სისტემატური ამაღლებით. მაგრამ არ იფიქროთ, რომ რეზერვები ამით ამოიწურა. არა, რეზერვები ჯერ კიდევ არის, მათი ამოქმედება და გამოყენება საშუალებას მოგვცემს კვლავ გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის გამოშვება.

ნ. ბრილიანდოვა — კომუნისტური შრომის უბნის ხელმძღვანელი. ახალი ტექნიკის დანერგვას და შრომატევადი პროცესების მექანიზაციას შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამას ახლა ყველა ხედავს. თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ მძიმე შრომას ეწეოდნენ მუშები საბერტყი მანქანიდან ხვეულის მოხსნაზე. მას შემდეგ, რაც ამ სამუშაოს ავტომატები ასრულებენ, შემსუბუქდა ადამიანის შრომა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ასევე დიდად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას შიდასაწარმოო მექანიზებული ტრანსპორტის მოწყობა, რომელიც სანახევროდ განხორციელებულია. ამა იანგარიშით, რამდენი მუშა გათავისუფლდა მძიმე შრომისაგან, იანგარიშით მათი ხელფასი. ახალი ტექნიკა ჩვენთან სწრაფად ინერგება, საქმეც მიდის წინ.

მ. ბიბაული — ნოვატორი მრთველი. ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვა კარგია. მაგრამ შრომის ნაყოფიერების ყველაზე დიდი რეზერვია ის, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადების, ცალკეული ნოვატორების შრომითი მაჩვენებლების დონეზე ავიყვანოთ წარმოების საერთო მაჩვენებელი.

ჩვენს საწარმოში, — განაგრძობს აგიტატორი, — გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც ორმაგად ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, იძლევიან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას. ამ ადამიანებს თქვენ კარგად იცნობთ. მთავარია ასეთი ადამიანები ბევრი გვყავდეს. ამისათვის საჭიროა პრაქტიკულად, საქმით დაეეხმაროთ იმ ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც ჩვენს წარმოებაში მოვიდნენ. და თუ მოკლე ვადაში მივაღწევთ იმას, რომ ყველა მუშა გადაჭარბებით ასრულებდეს ყოველდღიურ დავალებას და იძლეოდეს კარგი ხარისხის პროდუქციას, ამით უზრუნველვყოფთ შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

შრომის ნაყოფიერების ზრდა ხელს უწყობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და დიდად ზრდის შიდასამრეწველო დაგროვებას. თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომია ადიდებს ეროვნულ შემოსავალს, შესაძლებლობას აძლევს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას განუხრელად ამამაღლონ მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე.

უ. დათუნაშვილი — საამქროს უფროსი. შრომის ნაყოფიერების სისტემატურად ამაღლებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამას ისიც მოწმობს, რომ შვიდწლედის განვლილ წლებში მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად ჩვენს წარმოებას უკვე დაუგროვდა საწარმოო ფონდი, რაც წარმოების კულტურის ამაღლებას, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ხმარდება.

შარშან, — ამბობს აგიტატორი, — გეგმიანი და ზეგეგმიანი დაგროვებიდან საწარმოო ფონდში გადარიცხულმა თანხამ 292 ათასი მანეთი შეადგინა. საწარმოო ფონდის სახსრებიდან ეკონომიკურ-ტექნიკური მუშაკებს, მუშებს და მოსამსახურეებს პრემიებისა და ერთდროული დახმარების სახით 36 ათასი მანეთი მიეცათ. საწარმოო ფონდის სახსრებიდან განზრახულია აშენდეს 70-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. გარდა ამისა, მომდინარე წელს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და საგზურებზე 3 ათასი მანეთი დაიხარჯება.

როგორც ვხედავთ, კარგი ცხოვრება თავისთან არ მოდის. წინათ ჩვენი წარმოება ჩამორჩებოდა, ზარალით მუშაობდა. ცხადია, მუშათა პირობებიც ცუდი იყო. წარმოებისადმი სწორი ხელმძღვანელობით, მთელი კოლექტივის თავდადებული შრომით მდგომარეობა გამოსწორდა, ახლა ჩვენი წარმოება მოწინავეა, რენტაბელურად მუშაობს. გაუმჯობესდა მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები. გონივრული შრომით კიდევ უკეთესი პირობების შექმნა შეიძლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით შთაგონებულმა საწარმოთა კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი. როგორც იცით, ვალდებულებები სრულდება, მაგრამ ეს დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. ჩვენი კომბინატი ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა, რომელმაც არაერთხელ მოიპოვა პირველობა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახლა მთავარია კვლავ ავამოქმედოთ არსებული რეზერვები, ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით და მოვიპოვოთ კომუნისტური შრომის საწარმოს სამპატიო წოდება, რისთვისაც წარმატებით იბრძვის ჩვენი კოლექტივი...

შესვენების შემდეგ კვლავ რიტმულად გუგუნებდნენ დაზგები, ახალი ძალით გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

* * *

სურათზე: *აგიტატორი ლ. ჯეირანაშვილი.*

ჩვენი დღეების მხარდამხარ



„საქართველოს აგიტატორი"

მეთორმეტე ნომრით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ეურნალმა „აგიტატორის ბლოკნოტმა" დაიწყო გამოსვლა ახალი სახელწოდებით „საქართველოს აგიტატორი".

უკანასკნელ წლებში „აგიტატორის ბლოკნოტმა" მუშაობის კარგი ტრადიცია შექმნა. იგი ფართო მკითხველისათვის მიმზიდველი და საინტერესო გახდა.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ახალ სიმაღლეზე აიყვანეს პოლიტიკური აგიტაციის დონე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნამ კიდევ უფრო მიზანსწრაფული გახადა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ყოველივე ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა „აგიტატორის ბლოკნოტის" ეურნალებზე. ეურნალის საქმიანობა უფრო აქტუალური და კონკრეტული გახდა, უპასუხებს კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ახლა ეურნალს შემოკრებილი ჰყავს ფართო აქტივი. მის მუშაობაში აგიტატორებთან, პროპაგანდისტებთან ერთად მონაწილეობს მრავალი პარტიული, სახბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელი, აგრეთვე წარმოების მოწინავე ადამიანები, ინჟინრები და ტექნიკოსები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ისინი სისტემატურად გამოდიან ეურნალის ფურცლებზე წერილებით, როგორც პოლიტიკური აგიტაციის შინაარსის ამაღლების, საგაციო მუშაობის მეთოდიკის, შრომაში მოპოვებული მოწინავე გამოცდილების განზოგადების, ისე სხვა საკითხებზე.

მაგალითად, მიმდინარე წლის ეურნალის მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა წერილი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგიტატორების მუშაობაზე, მათს გამოცდილებაზე, თუ როგორ იბრძვიან ახალი პროდუქციის გამოშვების გადიდების, თვითღირებულების შემცირების, ახალი საწარმოო რეზერვების გამონახვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების და შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის. წერილში ნათქვამია:

„სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის ბარდაძეწლად საწარმოო პრინციპის მიხედვით შარიოო გზა გაუხსნა მშრომელთა ინიციატივას, ათას შემოქმედებით აზრს. აგიტატორები ყოველთხრივ უწყობენ ხელს გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა რიბბების ზრდას. აქ ბევრი აგიტატორი რაციონალიზატორია. ენინათ მარტენის საამქროში დიდი შრომა იხარჯებოდა ფოლადსამსხმელო ღარში ცეცხლგაძალვლების ხშირი გამოცვლის გამო. ყოველი ორი დნობის შემდეგ ღარნაგები ცვთებოდა. აგიტატორმა, ფოლადსამსხმელო მალიკ კალატოზთა ბრიგადირმა გ. ჩემინამ წინადადება წარმოადგინა ცეცხლგამძლე ნაგები ნახშირბადოვანი მასით. ეს წინადადება უკვე დანერგილია წარმოებაში და ჭელიწადში 168 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა".

ეურნალი დიდ ყურადღებას აქცევს აგიტატორების მეთოდურ დახელოვნებას და მათი ოსტატობის შემდგომი სრულყოფის საკითხებს. ამ ერთი თვის წინათ გაიმართა თბილისის აგიტატორთა პირველი საქალაქო მეთოდური კონფერენცია, რომლის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ეურნალის რედაქციამ. კონფერენციის ანგარიშის გაშუქებას ეურნალმა თავისი მეათე ნომერი დაუთმო.

მკითხველი ეურნალში ყოველთვის პოულობს ისეთ მასალებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ამდიდრებს პოლიტიკური აგიტაციის შინაარსს, ამაღლებს ინტერესს იმ ღონისძიებებისადმი, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ. ცხადია, ეს დადებით გავლენას ახდენს და რაზმავს მშრომელებს იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც მათ წინაშე დასახულია შვიდწლიანი გეგმით.

ეურნალის ფურცლებზე იბეჭდება ისეთი მასალები, რომლებშიც აგიტატორთა ყურადღება გამახვილებულია კეთხურობის გამოვლინების, წამგლეჯობის, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესთა უგულებელყოფის წინააღმდეგ, იმის საჭირბოდაზე, რომ გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ მოქმახორების წინააღმდეგ, საწარმოო დისციპლინის დამრღვევთა და საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებელთა წინააღმდეგ.

უკანასკნელ პერიოდში ეურნალი ახერხებს გამონახოს მკითხველისათვის მასალების მიწოდების ახალი ფორმები. იბეჭდება მასალები საერთო სათაურებით: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში", „საბრძოლო დიდ პროგრამაზე", „საგაციო მუშაობის, გამოცდილებიდან", „პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი მოქმედებს", „ეკონომიურ თემაზე", „ვისწავლოთ მოწინავეებისაგან", „საერთაშორისო თემაზე", „აგიტატორის ცნობარი", „ეულტურის უნივერსიტეტი", „მასალები საუბრებისათვის", „პასუხი შეკითხვაზე", „კონსულტაცია", „სპეციალისტის რჩევა-დარიგება" და სხვ. — ყველა ეს ეურნალის ის განყოფილებებია, რომლებშიც მკითხველი პოულობს კარგი ენით დაწერილ საინტერესო მასალას.

მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს თვალსაჩინო აგიტაციას. ამიტომაც ეურნალი ეურადღებით ეკიდება იდეოლოგიური მუშაობის ამ უბანს. ეურნალში პერიოდულად ქვეყნდება პლაკატები, დიაგრამები, მოწოდებები და სხვ.

ეურნალს მუშაობაში ნაკლიც აქვს. იშვიათად თანამშრომლობენ აგიტატორები, იშვიათად იბეჭდება აგიტატორების წერილები თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ. მეორე, საგაციაცია მუშაობის მეთოდიკის საკითხებზე ეურნალში გამოქვეყნებული საკონსულტაციო მასალები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს აგიტატორთა მოთხოვნილებებს.

ეურნალი „საქართველოს აგიტატორი" მოწოდებულია ეფორო მრავალმხრივი-მუშაობა გაშალოს პარტიის XXII ყრილობის, იდეოლოგიის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისათვის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილის შეტანაზედ.

ევროპა ხედავს, ევროპა უსმენს...

ბუდაპეშტი. დიდი აღფრთოვანებითა და სიხარულით უყურებდნენ 22 ივნისს ბუდაპეშტელები უნგრეთის ტელევიზიით გადაცემულ ბულითად და ამაღლებულ შეხვედრას, რომელიც გაუმართეს მოსკოველებმა კოსმოსის ახალ გმირებს — ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკას. ჩებელის მეტალურგიული კომბინატის პროფკავშირის კომიტეტის მდივანმა ბელა ბალამ განაცხადა: დიე იცოდნენ ვალერი ბიკოვსკიმ და ვალენტინა ტერეშკოვამ, რომ საბჭოთა ხალხთან ერთად მთა გულთბილად ხვდებიან აგრეთვე ჩეპელელები და მთელი უნგრელი ხალხი.

პარიზი. კოსმონავტებთან ვალერი ბიკოვსკისთან და ვალენტინა ტერეშკოვასთან საზეიმო შეხვედრის გადაცემა ნახეს ფრანგმა ტელემაყურებლებმაც, გადაცემა ტრანსლირებული იყო პირდაპირ მოსკოვიდან.

ბერლინი. შაბათი მოკლე სამუშაო დღე იყო. მაგრამ ბევრმა მოჭალაქემ შეცვალა თავისი ჩვეულება დაესვენა ბუნების წიაღში, მათ შინისაკენ ცისფერი ეკრანებისაკენ ეჩქარებოდათ. ისინი ეუყურებდნენ ინტერტელევიზიის გადაცემას მოსკოვში კოსმოსის გმირების ისტორიული შეხვედრის შესახებ. თითოეული ოთახი, სადაც დადგმულია ტელევიზორი (ისინი კი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 2 მილიონამდეა), გახდა ამპროვიზებული კინოთეატრი, სადაც ადგილები დაიკავა ოჯახის ყველა წევრმა, ნათესავებმა, მეზობლებმა. მთელ საბჭოთა ხ

დიდება ქალებს—მშვიდობისათვის მებრძოლებს!

კომუნიზმის იდეების დიდი გეიმი

პრაღა, 22 ივნისი. (საკ.დეს). ჩეხოსლოვაკიის პრესა ფართოდ აშუქებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას, ახლა კი თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს დოკუმენტებს, რომლებიც პლენუმმა მიიღო. „რუდე პრავომ“ და სხვა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებანი „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ“.

გაზეთი „მლადა ფრონტა“, რომელმაც მოათავსა პლენუმის გადაწყვეტილებათა დაწვრილებითი შინაარსი, ხაზს უსვამს, რომ ეს გადაწყვეტილებანი ხელს უწყობენ „ჩვენი საერთო საქმისათვის ბრძოლას“. გაზეთი „პრაცე“ აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობა ემსახურება „კომუნიზმის იდეების ახალ გამარჯვებებს“.

„მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის“ — ასეთი სათაურით დაბეჭდა გაზეთმა „ზემედელსკე ნოვინამ“ პლენუმის დადგენილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებათა შინაარსს „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ“.

ბუქარესტი, 24 ივნისი. (საკ.დეს). სათაურით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებული დადგენილებანი“ გაზეთი „სკინტეია“ აქვეყნებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებათა შინაარსს „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ“.

ვარშავა, 24 ივნისი. (საკდეს). გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ აქვეყნებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებათა სრულ ტექსტს „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ“.

მსოფლიოს ქალთა დიდი ასამბლეა

(დასასრული)

ნ. ვ. პოპოვა. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ მათ.

ჩვენ ვცხოვრობთ დიად სოციალურ გარდაქმნათა ეპოქაში, აცხადებს ნ. ვ. პოპოვა, მძლავრ სახალხო მოძრაობათა და მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი პროგრესის ეპოქაში. ჩვენს ეპოქაში, რეალობად შეიძლება გადაიქცეს ბევრი თაობის საუკუნოვანი ოცნება მტკიცე მშვიდობაზე, როცა არ იქნება მძარცველური ომები.

მოდით, ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო ამხანაგები, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ ჩვენს მშვენიერ დედამიწაზე მეფობდეს მხოლოდ მშვიდობა, მხოლოდ სიმშვიდე, რომ თვითეული ხალხი თვითონ წყვეტდეს თავის საქმეებს საკუთარ სახლში, რომ ყველა ოჯახში იყოს საკმარისობა, რომ ქალებმა დაიკავონ ღირსეული ადგილი საზოგადოებაში, რომ ჩვენი შვილები იზრდებოდნენ მშვიდობისა და უშიშროების ვითარებაში.

ნ. ვ. პოპოვამ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდ როლს ასრულებენ ქალები მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, ხალხთა გაერთიანებაში საყოველთაო განიარაღებისათვის, სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანმა თანაარსებობისათვის, სახელმწიფოთს შორის ფართო ვაჭრობის ორგანიზაციისა და საქმიანი თანამშრომლობისათვის ბრძოლაში. ქალებს უნარი შესწევთ თავიანთ ქმრებთან, ძმებთან, შვილებთან ერთად, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიონ კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის საბოლოო ლიკვიდაციას, უზრუნველყონ ყველა ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებელი განვითარება.

დარბაზის ტაშის გრიალში ნ. ვ. პოპოვა აცხადებს: დე ყველგან ჩვენს მდიდარ და მშვენიერ პლანეტაზე გიმარჯოს მშვიდობამ, და სოციალურმა სამართლიანობამ! დე არავად არ იყოს არავითარი დისკრიმინაცია — არც ეროვნული, არც რასობრივი, არც ქალთა სქესის მიმართ და არსად არ იყოს სიღატაკე, ავადმყოფობა და შიშშილი! დე ყველა ბავშვი იყოს მაძღარი, ჩაცმული და დახურული!

ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენი საუკუნე მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, კოსმოსის დაპყრობის დარგში. საბჭოთა ადამიანები მშვიდობიანი მიზნით უტივენ სამყაროს, ადამიანის სამსახურში აყენებენ ატომის ძალებს. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მათი მიღწევების დაგვირგვინება იყო ორი საბჭოთა კოსმონავტის ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის ერთად ფრენა კოსმოსში, რაც ამ დღეებში დამთავრდა. სულითა და გულით მივესალმებით მათ და გულში ვიკრავთ, აცხადებს ნ. ვ. პოპოვა. განსაკუთრებით ბედნიერი ვარო იმით, რომ კოსმონავტების რიგებს შეემატა ქალი — ჩვენი ვალია, ჩვენი თოლია, რომლითაც სამართლიანად ამაყობს მსოფლიოს ყველა ქალი.

დარბაზში იმართება ოვაცია, ყველანი ფეხზე დგებიან. პრეზიდიუმში ადიან ვალენტინა ტერეშკოვა და ვალერი ბიკოვსკი. ეფენი კოტონი და ნ. ვ. პოპოვა ეხვევიან, მხურვალედ კოცნიან გმირებს. გაისმის შეძახილები „ვანა“. აზიის ქვეყნებიდან ჩამოსულმა დელეგატებმა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი გირლანდებით მორთეს, რაც მოწმობს უდიდეს პატივისცემას მისადმი. მას მიართვეს ყვავილები, მხრებზე ფერადი თავსაფრები და ლენტები შემოახვიეს.

დელეგატებს მიმართა ნ. ვ. პოპოვამ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერეშკოვას გმირობა ადასტურებს, თუ რა მაღალი მდგომარეობა უკავია ქალს საბჭოთა სოციალისტურ და სოციალისტურ ოჯახში და ოსტანკინოში, ამ ადგილებს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში ყველა ქალს. ნ. ვ. პოპოვამ საბჭოთა დელეგაციის, ყველა საბჭოთა ქალის, საბჭოთა ქვეყნის მთელი ხალხის სახელით სიხარული და მადლობა გამოთქვა იმის გამო, რომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ გადაწყვიტა მოაწყოს მსოფლიო კონგრესი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. საბჭოთა ადამიანები ბედნიერი არიან, რომ აქ ხედავენ ძვირფას სტუმრებს — ევროპისა და აზიის, აფრიკისა და ავსტრალიის, ამერიკის კონტინენტის ყველა ქვეყნის ქალთა მოძრაობის წარმომადგენლებს.

არგენტინის დელეგაციის წევრმა როსა ისაოვიჩმა შეიტანა წინადადება, რომ აირჩიონ კონგრესის პრეზიდიუმი. მან პრეზიდიუმში პირველი დაასახელა ქალთა საერთაშორისო მოძრაობის უხუცესი და გამოჩენილი მოღვაწე ეფენი კოტონი და ვარსკვლავეთის დამაყრონი, შესანიშნავი საბჭოთა კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა. დელეგატები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ამ წინადადებას. პრეზიდიუმის შემადგენლობაში ასზე მეტი ქალი აირჩიეს.

ტრიბუნაზეა ინდოეთის ქალთა წარმომადგენელი — ინდოეთის პარლამენტის წევრი რენუ ჩაკრავარტი. მისი წინადადებაა პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩიონ საბჭოთა კოსმონავტი ვალერი ბიკოვსკი. ეს ერთადერთი მამაკაცი კონგრესის პრეზიდიუმის წევრთა შორის.

სხდომის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოპოვამ გამოაცხადა, რომ წინადადებაა ქალთა მსოფლიო კონგრესის დელეგატებმა მოისმინონ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარის ეფენი კოტონის მოხსენება „ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციისა მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ქალთა უფლებებისა და ბავშვთა ბედნიერებისათვის“.

სიტყვა ეძლევა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარეს ეფენი კოტონს. დელეგატები და სტუმრები დიდი ყურადღებით ისმენენ მის მოხსენებას „ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ქალთა უფლებებისა და ბავშვთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში“.

მოხსენება დამთავრდა. საბჭოთა დელეგაციის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. ი. იგნაჩენკო კითხულობს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს, რომელიც მან გამოუგზავნა ქალთა მსოფლიო კონგრესს.

კონგრესის დელეგატები უდიდესი აღტაცებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წერილს. მის სიტყვებს, რომლებიც გამსჭვალულია იმ ღრმა რწმენით, რომ ქალი უდიდესი ძალაა მშვიდობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში, ფორუმის მონაწილენი უპასუხებენ მხურვალე ოვაციით. გაისმის შეძახილები საბჭოთა მთავრობის მეთაურის, მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის, დაუცხრომელი მებრძოლის ბატონსაცემად. დარბაზი გუგუნებს: „დიდება!“, „ვივა!“, „მშვიდობა!“, „მეგობრობა!“.

თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა შეკრებილთა სახელით გულითად მადლობას უხდის ნ. ს. ხრუშჩოვს წერილისათვის.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

ეფენი კოტონის მოხსენება

ჩვენ მადლობას ვუხდით საბჭოთა ქალებს მსოფლიო კონგრესის მოსკოვში მოწვევისათვის, კონგრესისა, რომლის მნიშვნელობა ყველას ესმის ახლა. ჩვენ მადლობას ვუძღვნით იმ უდიდესი მეცადინეობისათვის, რაც მათ იმაზე მოახმარეს, რომ ესოდენ ბევრი დელეგატისათვის საშუალება მიეცათ განსაკუთრებით კარგ და მოხერხებულ პირობებში და დიდი გულთანადგომის ვითარებაში ემუშავათ, თქვა ეფენი კოტონმა. კონგრესის ბევრი მონაწილე პირველად არის საბჭოთა მიწაზე და სიხარულით მიესალმება თქვენს ქვეყანას, რომელმაც 1917 წლის შემდეგ როგორც ფაქტიურად, ისე იურიდიულად ცნო ქალთა სრული თანასწორობა მამაკაცებთან ყველა დარგში.

მან ხაზი გაუსვა, რომ კონგრესი არასოდეს არ აღნიშნულა ასეთი გაბედული გმირობით, როგორიცაა პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას გმირობა. ჩვენ ყველანი აღტაცებული ვართ ამ გმირობით, და არა მარტო მისი ტექნიკური მხრით, არამედ ვალენტინა ტერეშკოვას გაბედულებითა და მშვიდი მამაცობით, ზეცა მტკიცე გადაწყვეტილებით და თავისი წესიერებით შეეტანა პროგრესის საქმეში.

ეფენი კოტონმა განაცხადა, რომ, როგორც ფიქრობდნენ, ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა რიცხვი ათასს არ გადააჭარბებდა, დღეს კი უკვე 1.400-ზე მეტმა ქალმა მოიყარა თავი. რა თქმა უნდა, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის წინა კონგრესები აგრეთვე საერთაშორისო ან მსოფლიო კონგრესებად ითვლებოდა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ დაუმსახურებია ეს სახელწოდება იმდენად, როგორც მოსკოვის ახლანდელ კონგრესს, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ კონგრესზე წარმოდგენილ ქვეყნების რაოდენობა ბევრად ჭარბობს ყველა წინა კონგრესზე მონაწილე ქვეყნების რაოდენობას. დღეს მოსკოვში წარმოდგენილია 120-მდე ქვეყანა, ამასთან ყველა კონტინენტი.

მიმდინარე კონგრესი შეეკრიბა ისეთ პირობებში, როცა იზრდება ქალის როლი მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში, როცა სხვადასხვა ეროვნულებათა სულ უფრო მეტი ქალი ნდობას უცხადებს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას, რასაც ადასტურებს კონგრესზე მათი მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობითობა. ახლა ქალებს ყველგან სურთ მონაწილეობა მიიღონ გრანდიოზულ გარდაქმნებში, რომლებიც სახეს უცვლიან მთელი მსოფლიოს ცხოვრებას. აღარ არსებობს კონტინენტების იზოლაცია. სხვადასხვა რასის ადამიანებს დღეიდან საშუალება აქვთ ხშირად შეხვდნენ ერთმანეთს და ითანამშრომლონ ჩვენს დროში ერთადერთ მისაღებ საფუძველზე — თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ხანგრძლივ ბრძოლას ყველა ფორმის ჩაგვრის წინააღმდეგ — იქნება ეს კოლონიალიზმი, რასიზმი, თუ იმპერიალიზმი — თავისი ნაყოფი მოაქვს. მაგალითად, საკმარისია აფრიკის ათი წლის წინანდელი პოლიტიკური რუკა თანამედროვე რუკას შეადაროთ, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ხალხებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების დარგში.

მაგრამ ჯერ კიდევ რამდენი ხახეობის მეტ-ნაკლები ჩაგვრა არსებობს სხვადასხვა კონტინენტზე! რა ბევრია ჯერ კიდევ სპეციალისტი, რომელსაც ურჩევნია გაანადგუროს სურსათის დაგროვილი მარაგი, ვიდრე ფასი დაუკლოს. და ეს იმ დროს, როცა უამრავი ადამიანი იხოცება შიმშილით. დედებს, რომლებიც მუდამ ამაზე ზრუნავენ, რომ ყველაფრით უზრუნველყონ თავიანთი შვილები, გული უკვდებათ, როდესაც ფიქრობენ იმ ქალებზე, რომლებსაც საშუალება არა აქვთ შიმშილისაგან იხსნან თავიანთი ბავშვები. მათ ესმით, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა შეიცვალოს მსოფლიოში და რომ მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ ამ ცვლილებათა დასაჩქარებლად.

ეფენი კოტონმა აღნიშნა, რომ ქალებს სურთ ფეხდაფეხ მიჰყვნენ ახალ ხანას და მამაკაცების თანასწორად შეიტანონ თავიანთი წვლილი კაცობრიობის საერთო პროგრესში.

ყოველივე ამით იხსნება ის დიდი ინტერესი, განაგრძო მომხსენებელმა, რომელიც ყველა ქვეყნის ქალებმა გამოიჩინეს მოსკოვის მსოფლიო კონგრესისადმი. ეს კონგრესი მოიწვია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ, რომელიც მუდამ იბრძოდა ქალთა ცხოვრების ყველა პრობლემის გადაჭრისათვის, ქალთა განთავისუფლებისათვის, რაც ასე დიდხანს უგულებელყოფილი იყო, მათი პროფესიული მომზადებისათვის, იმისათვის, რომ ჭრონოდათ შრომისა და სამართლიანი ანაზღაურების უფლება, თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. ეს ქალთა ორგანიზაცია მუშაობდა ბავშვებისა და ახალგაზრდობის — კაცობრობის მომავლის — აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ქალები სულ უფრო ხვდებიან, რომ ეს სასიცოცხლო პრობლემები წარმატებით გადაიჭრებოდა, თუ კაცობრობა სწორად გამოიყენებდა შესანიშნავ შესაძლებლობებს, რომელსაც მეცნიერება იძლევა. სამწუხაროდ, ქალები უდიდესი შეშფოთებით ხედავენ, რომ ყველაზე შესანიშნავი აღმოჩენა უფრო ხშირად ომსა და სიკვდილს ემსახურება და არა მშვიდობასა და სიცოცხლეს.

ეფენი კოტონმა თქვა, რომ საჭიროა ბოლო მოვუღოთ გამალებულ ატომურ შეიარაღებას და მიეცეს ნება ჩვენთვის, ქალებს, როდი დავიწყდათ, აღნიშნა, მან, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის შესანიშნავ სტატიაში გაერთიანებული ეროვნული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე პირველმა წამოაყენა საყოველთაო და კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების სრული გეგმა. სამწუხაროდ მის ინიციატივას, იმას, რომ მან ცალმხრივად თქვა უარი ატომური იარაღის გამოცდებზე, არავინ დაუჭერა მხარი, მაგრამ მისმა დიდმა იდეამ გზა გაიკაფა: ხალხები სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტასა და განიარაღებას.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ოვაჭალმრომერემ აღნიშნა, რომ ეი უკვე ხუთი წელია, რაც განიარაღების კეთილშობილური იდეა დაუფლებია ყველა ქვეყნის უდიდეს მოღვაწეთა გონებას. მან ქმაყოფილება გამოთქვა, რომ ორი დიდი ატომური სახელმწიფო და დიდი ბრიტანეთი შეთანხმდნენ სცადონ ატომური იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის ხელშეკრულების დადება იმ თანმიმდევრობით, რომელიც მომდინარე წლის ივლისში გაიმართება მოსკოვში. მომხსენებელმა დადებით ფაქტად მიიჩნია აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის სიტყვა, რომელიც მან ამას წინათ წარმოთქვა გაშინგტონის უნივერსიტეტში და რომელშიც კენედიმ აღიარა მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობა.

ამრიგად, ძვირფასო მეგობრებო, აღნიშნა ეფენი კოტონმა, ჩვენი კონგრესი ბედნიერ საათს იხსნიდა, ვინაიდან პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად აღელვებს ქალებს — მშვიდობის პრობლემა — მთავარი ატომური სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების ზრუნვის ძირითადი საგანი გახდა.

თავის მოხსენებაში ეფენი კოტონმა დაწვრილებით ილაპარაკა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საქმიანობაზე ომამდე, მაგალითად, 1958 წლის ივნისში გაიმართა ვენაში.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციას განზრახული აქვს შექმნას ქალთა რაც შეიძლება ფართო გაერთიანება ნდობისა და მეგობრობის საფუძველზე.

ერთ-ერთი თარიღი, განაგრძო ეფენი კოტონმა, რომელიც განსაკუთრებით იმსახურებს აღნიშვნას, არის 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე. ჩემი აზრით, თქვა ეფენი კოტონმა, ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა ქვეყანაში 8 მარტი სავსებით გადაიქცეს მთელი მსოფლიოს ქალთა გაერთიანების დღედ. ამასთან დაკავშირებით ორატორმა გაიხსენა ის ამსები, 8 მარტს 50 წლისთავის დღესასწაულთა დროს რომ მოხდა კოპენჰაგენში 1960 წელს ამ საერთაშორისო შეხვედრაზე სულ სხვადასხვა შეხვედულების 700-ზე მეტმა ქალმა მოიყარა თავი 73 ქვეყნიდან.

იმის მოუხედავი, რომ ფედერაციაა აწყობს თავის შეხვედრებს სხვადასხვა კონტინენტზე, იგი ადგილზე ეცნობა ქალთა ცხოვრებას, მათ სიძნელეებსა და საკმაოებას. ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაციის წარმომადგენლები იყვნენ აფრიკაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, ამერიკაში, კუბაში და სხვა ადგილებში. პირადად მე მეტად საგულისხმო მოგონება დამრჩა ლათინური ამერიკის ქალთა კონგრესზე, რომელიც გადმართა 1959 წლის ნოემბერში სანტ-იაგოში (ჩილეი). მე კარგად გავიგე იქ ადგილზე, რომ, ჯერ ერთი, ეკონომიური ჩაგრა ბატონობს მთელ ლათინურ ამერიკაში და, მეორეც, რომ ამ კონტინენტის ხალხთა გულში ჩაისახა იმედი მას შემდეგ, რაც ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით გმირულად განთავისუფლდა კუბელი ხალხი.

ფედერაცია, აღნიშნავს შემდეგ ეფენი კოტონი, მხარს უჭერდა თავისი ქმედითი სოლიდარობით ქალებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში. ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაცია სიხარულით მიესალმა აფრიკისა და სხვა სახელმწიფოთა განთავისუფლებასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებას. მაგრამ უდავოა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ პოვებს თავის ნამდვილ სახეს, სანამ ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორიც არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის ადგილს არ დაიკავებს ამ ორგანიზაციაში.

ჩვენ, განაცხადა ეფენი კოტონმა, მხარს ვუჭერთ აგრეთვე მთელი ჩვენი სოლიდარობით იმ ქალებს, რომელთათვის ჯერ კიდევ არ დამდგარა დამოუკიდებლობის ჟამი და რომლებსაც კეთილგანდეგურად სასტიკად ტანჯავს რასიზმი, კოლონიალიზმი, იმპერიალიზმი, კერძოდ, სამხრეთ აფრიკაში, ანგოლასა და სამხრეთ ვიეტნამში. დე ყველა ჩვენმა დამ ესპანეთში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, ერაყში, აგრეთვე შუა აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის ბევრ სხვა ქვეყანაში, რომლებიც იტანჯებიან ჩაგვრის გამო, საპყრობილეებში, რომლებიც თავიანთ შვილებს ხედავენ მხოლოდ შორიდან, საპყრობილიდან, დე მათ იცოდნენ, რომ ჩვენ ყოველთვის ხმამაღლა გამოვხატავთ გულისწყრომას და მოვითხოვთ ამნისტიას ყველა პატრიოტისათვის, რომელსაც ხშირად ემუქრება სიკვდილი ხულიან გრიმაუს მსგავსად.

ჩვენ სხვა წმიდათა წმიდა მოვალეობაც გვაქვს — ეს არის ის, რომ მივაღწიოთ მშვიდობის უსწრაფესად დამყარებას, ვიბრძოლოთ მთელი ძალებით საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებისათვის, რომელიც იქნება ყველაზე დიდი სიკეთე ყველა ქვეყნის ყველა ქალისათვის, — როგორც ეკონომიურად ყველაზე მოწინავე, ისე იმ ქვეყნებისა, რომლებიც ამას წინათ გახდნენ დამოუკიდებელნი. განიარაღება უზრუნველყოფდა ყველა ხალხის დამოუკიდებლობას, იგი უზრუნველყოფდა იმას, რომ დედამიწის მთელი სიმდიდრე კაცობრიობის კეთილდღეობას მობმარდეს.

შემდეგ ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე შეეხო მუშაობას, რაც ფედერაციამ შეასრულა საერთაშორისო მასშტაბით. ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც განიარაღებისათვის ბრძოლის დარგში განხორციელდა, იყო ქალთა მსოფლიო შეხვედრა განიარაღებისათვის, რომელიც გაიმართა ვენაში 1962 წლის მარტში. ამ შეხვედრას დასწრეს ექვსასი ქალი — ყველა კონტინენტის წარმომადგენელი.

ბოლო ოთხ წელიწადში, თქვა ეფენი კოტონმა, დავრწმუნდით აგრეთვე, რომ ქალთა შორის განმტკიცდა მშვიდობისადმი მისწრაფება. ეს გამოხატა სევრმა ეროვნულმა და რეგიონალურმა შეხვედრამ, რომელთა შორის უნდა აღვნიშნოთ „ბალტიის ზღვის კვირეული“, რომელიც ყოველწლიურად იმართება როსტოკში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ბევრი სხვა ორგანიზაცია აგრეთვე იბრძოდა მშვიდობისათვის, და ძალიან მოხარული ვართ, რომ ამ კონგრესში მონაწილეობას მიიღებენ ზოგიერთი ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები. ვიმედოვნებთ, რომ ეს უზრუნველყოფს უფრო ნაყოფიერი თანამშრომლობის შესაძლებლობას. ჩვენმა ფედერაციამ, რომელსაც მეოცდა კონტინენტები აქვს დამყარებული მშვიდობის მსოფლიო საბჭოსთან. ქალთა ბევრმა ორგანიზაციამ გაგზავნა შაშაან თავიანთი წარმომადგენლები საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის გრანდიოზულ მსოფლიო კონგრესზე მოსკოვში. ამ კონგრესს მონაწილეთა მესამედზე მეტი ქალები იყვნენ. ისინი გაერთიანდნენ და მთელი მსოფლიოს ქალებს მოუწოდეს აწარმოონ ყოველდღიური ბრძოლა განიარაღებისათვის მთელ დედამიწაზე.

ეფენი კოტონმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ფედერაციის ჟურნალი „მსოფლიოს ქალები“, რომელიც ყველა ქვეყნის ქალებს აცნობს დიდმნიშვნელოვან მოვლენებს და ხელს უწყობს მათ შორის ძვირფასი მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაციის მუშაობის პერსპექტივები რომ დაახასიათა, ეფენი კოტონმა თქვა, რომ ქალთა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი მისწრაფება რჩება კვლავაც ბრძოლა: შეინარჩუნოს თავისი ხასიათი დიდი ოჯახისა, რომელშიც თითოეული ქალი პოულობს სხვა ქალების მეგობრულ მხარდაჭერასა და ყოველი ადამიანი ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტის ძიებაში, რომელიც აინტერესებს ქალებს მათი ქალური თვალსაზრისით როგორც დედებს, მშრომელებსა და მოქალაქეებს. რა თქმა უნდა, იმ სწრაფად განვითარებად სამყაროში, რომელშიც ჩვენ გვსოვრობთ და რომელიც ერთიანებს განვითარების მეტად სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ქალებს, ძნელია ამ ამოცანის შესრულება. მაგრამ ეს არის ძირითადი საარსებო ამოცანა. უეჭველია, კონტინენტებს, ხალხები ამას წინათ რომ მოაპოვეს თავისუფლება, ფიქრობენ უფრო ადრე ყოლნისა იმაზე, რომ განაზოგიერონ ერთობა თავიანთ ქვეყნებში, მაგრამ მათ კარგად იციან, რომ ვერ იცხოვრებენ იზოლირებულად და რომ მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეთ დამყარებული სხვა კონტინენტების ხალხებთან. გაგება, ძმური დახმარება და შეჯიბრება გვიჩვენებენ გადავჭრათ ყველა პრობლემა გაცილებით სწრაფად, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ეს იზოლირებულად ხორციელდება.

თავის საკუთარ, მისთვის დამახასიათებელ საქმიანობასთან ერთად, განაგრძო ეფენი კოტონმა, ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაცია კვლავაც გამოიჩენს ინიციატივას და მოაწყობს სწავლის დღეებს ცალკეულ საკითხებზე, მაგალითად, თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის ან მათი ბავშვების პროფესიული სწავლის საკითხზე, ან მოს პროგრამაში შემავალ სხვა საკითხებზე. ვფიქრობ, დადგა დრო, რომ ფედერაცია უფრო მჭიდრო კონტაქტით მუშაობდეს ისეთ ოფიციალურ ორგანიზაციებთან, როგორიც არის იუნესკო. ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაციის მომავალი საქმიანობის უფრო ზუსტ გეგმებს საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით მიიღებს ეს კონგრესი მას შემდეგ, რაც პლენარულ სხდომებზე და შესაბამის კომისიებში განიხილავენ მოხსენებებს.

ძვირფასო მეგობრებო, თქვა დასასრულ ეფენი კოტონმა, ამ კონგრესის მუშაობა, რომელიც გაიკისკროვნებულია ვალენტინა ტერეშკოვას შესანიშნავი გმირობით, ჩაგვიერგავს ჩვენ, დელეგატებს გრძნობას, რომ დღეიდან ქალს ენარი შესწევს მონაწილეობა მიიღოს ამ დიდი მომავლის მშენებლობის ყველა დარგში, რომელიც დღეს ისახება ყველა ხალხს. ყოველ ჩვენგანს შეუძლია შეიტანოს თავისი წვლილი ამ მომავლის მშენებლობაში.

მაგრამ ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის ერთად ფრენიდან გამოგვაქვს სხვა დასკვნაც: მამაკაცსა და ქალს თანაბარი ნობა გაეწიათ ერთსა და იმავე გაბედული მეცნიერული და ადამიანური მისიის შესრულებაში. ეს ზუსტად შეესაბამება ჩვენი ფედერაციის ძირითად მისწრაფებას. ჩვენ გვინდა მთელ დედამიწაზე მოგვიზადოთ ხვალინდელი დღის ქალის მოსვლა, ქალისა, რომელსაც არა სურს დაკარგოს არცერთი ნაწილი თავისი სილამაზის და თავისი გრძნობებისა, მაგრამ სურს იყოს მამაკაცის თანაბრებრძოლი, მასთან ერთად თანასწორი იყოს ოჯახში, შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ შეიქმნას მთელი დედამიწის ბავშვებს საყოველთაო მშვიდობა, რომლის პირობებში ისინი თავდაუსტურად გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს.

ძვირფასო მეგობრებო, ამ დიდი საქმის წარმატებისათვის ჩვენ კიდევ კიდევ უფრო მტკიცედ და მეტი სიმრავლით, და დე ეს შეჯიბრება იყოს ადამწყვეტი იტალი ქალთა მსოფლიო მოძრაობის ისტორიაში ერთობის გზაზე.

გაუმარჯოს ქალთა მსოფლიო კონგრესს!

გაუმარჯოს მშვიდობას!

ოლიმპიადა

ბავშვობა პირველი მღელვარე დღეები თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლებისა, რომელსაც მოუთმენლად და დიდი ინტერესით ელოდა სომხეთის საზოგადოებრიობა.

საბალეტო დასის გასტროლები დაიწყო სპექტაკლ „ოტელოთი“. გასტროლების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ყველა ბილეთი გაყიდული იყო. თეატრს გარეთ დარჩა ბევრი მსურველი, რადგან თეატრი ყველას ვერ დაიტევდა.

სპექტაკლისადმი ინტერესი დიდი იყო. ყველას აინტერესებდა, რამდენად გაამართლებდა მოლოდინს ბალეტის განთქმული კოლექტივი.

ინტერესი სსრ კავშირის სახალხო არტისტის კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის ამ ნაწარმოებისადმი ჩვეშარიტად უდიდესი იყო.

სპექტაკლმა სავსებით გაამართლა მაყურებლის მოლოდინი.

ვახტანგ ჭაბუკიანის გამოჩენამ სცენაზე მოხიბლა ეროვნელები. მან ერთხელ კიდევ გვიჩვენა თავი როგორც ბრწყინვალე მოცეკვავემ, უბადლო ექტიორმა და ნოვატორმა ქორეოგრაფმა.

შემდგომ დღეებში ნაჩვენები იყო საბალეტო სპექტაკლები — კომპოზიტორ გ. თორაძის „გორდა“ და კომპოზიტორ ს. ციცაძის „დემონი“.

პირველ რიგში მინდა გადმოგცეთ შთაბეჭდილება, მიღებული დიდი მხატვრისა და ქორეოგრაფიის ოსტატის ვ. ჭაბუკიანის გამოსვლებთან.

ჭაბუკიანის დიდ ხელოვნებაში ყველაზე ძვირფასია ის, რომ მას უნარი შეწევს ქართული ხალხური ცეკვის ელემენტები შეუთავსოს კლასიკური ცეკვის ელემენტებს. ამ შეხამებას ქართული ხალხური ცეკვა ახალ საფეხურზე აჰყავს და ხაზს უსვამს შემართებას ჭაბუკიანის ნოვატორობაში.

ეს განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდ

ომიანობა ომიანობის ფარავს

22 წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი. გერმანელ ფაშისტთა ურდო მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას.

ქვემოთ ვბეჭდავთ სიმონ დიხნის ნარკვევს, რომელშიც მოთხრობილია სამამულო ომის დღეებზე, ესპანელი ხალხის სახალხო შვილის დოლორეს იბარურის ვაუზე — რუბენზე, და იმ ქართველ მებრძოლზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების წარმომადგენელთა მხარდამხარ იბრძოდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ.

ნარკვევის ავტორი თადარიგის მაიორი ჟურნალისტი სიმონ დიხნე მსახურობდა ერთ დივიზიაში რუბენ იბარურისთან ერთად და იყო რუბენ იბარურისა და მისი მეგობრის არტურ ჩარგეიშვილის გმირობის უშუალო მოწმე.

ს. დიხნე შეხვდა მწერალ ვანო ფულუკიძეს და სურვილი გამოთქვა გაზეთ „კომუნისტისათვის“ დაეწერა ნარკვევი ესპანელი და ქართველი მებრძოლის თაგვდასავლელზე.

ავტორმა შეასრულა თავისი ჩანაფიქრი და ნარკვევი 3. ფულუკიძეს გამოუგზავნა, რომელმაც თარგმნა იგი.

ᲘᲐᲗ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲨᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲠᲣᲑᲔᲜ ᲠᲣᲑᲘᲡ ᲘᲑᲐᲠᲣᲠᲘᲡ ᲔᲪᲜᲝᲑᲓᲐ, ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲐᲦᲛᲐᲩᲜᲓᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲐᲪᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲕᲚᲘᲡ ᲓᲝᲚᲝᲠᲔᲡ ᲘᲑᲐᲠᲣᲠᲘᲡ ᲕᲐᲣᲖᲔ — ᲠᲣᲑᲔᲜᲖᲔ, ᲓᲐ ᲘᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲐᲚᲮᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲑᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲝᲡ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲓᲘᲮᲜᲔ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲓᲐ ᲠᲣᲑᲔᲜ ᲘᲑᲐᲠᲣᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲧᲝ ᲠᲣᲑᲔᲜ ᲘᲑᲐᲠᲣᲠᲘᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲢᲣᲠ ᲩᲐᲠ�გᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲛᲝᲬᲛᲔ.

Ბ. ᲓᲘᲮᲜᲔ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚ ᲕᲐᲜᲝ ᲤᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲧᲝ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲢᲣᲠ ᲩᲐᲠ�გᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲚᲘ 3. ᲤᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲐ ᲘᲒᲘ.

ᲛᲐᲗ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲨᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲠᲣᲑᲔᲜ ᲠᲣᲑᲘᲡ ᲘᲑᲐᲠᲣᲠᲘᲡ ᲔᲪᲜᲝᲑᲓᲐ, ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲐᲦᲛᲐᲩᲜᲓᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲐᲪᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲕᲚᲘᲡ ᲓᲝᲚᲝᲠᲔᲡ ᲘᲑᲐᲠᲣᲠᲘᲡ ᲕᲐᲣᲖᲔ — ᲠᲣᲑᲔᲜᲖᲔ, ᲓᲐ ᲘᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲐᲚᲮᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲑᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲝᲡ.

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲧᲠᲘᲐᲜ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ — ᲥᲐᲚᲘᲐ. ᲠᲣᲡᲔᲜᲛᲐ ᲐᲠᲐᲤᲘᲠᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲐᲜᲛᲬᲘᲤᲔ ᲠᲣᲑᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ — „ᲥᲐᲚᲘᲐ. ᲡᲘᲛᲬᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲐᲢᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲔᲠᲐᲓ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ ᲠᲣᲑᲔᲜᲘ ᲘᲑᲐᲠᲣᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲧᲝ ᲠᲣᲑᲔᲜ ᲘᲑᲐᲠᲣᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲢᲣᲠ ᲩᲐᲠ�გᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲛᲝᲬᲛᲔ.

ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲨᲕᲔᲚᲘᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲧᲕᲐᲛᲤᲠᲧᲕᲔᲒᲝᲗᲐ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲝᲓᲘ ᲣᲨᲔᲚᲘᲐ ᲠᲣᲑᲔᲜᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲠᲗᲔᲡ.

ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲨᲕᲔᲚᲘᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲧᲕᲐᲛᲤᲠᲧᲕᲔᲒᲝᲗᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲠᲣᲑᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ — „ᲒᲘᲠᲩᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲝᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲘᲒᲝᲗ ᲒᲖᲐ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ“.

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲐ, ᲘᲡᲘ ᲒᲐᲔᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲐᲜᲛᲬᲘᲤᲔ ᲠᲣᲑᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ — „ᲒᲐᲒᲘᲒᲝ! ᲓᲘᲓᲝ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ? ᲛᲔ ᲕᲘᲪᲘ ᲠᲣᲡᲔᲚᲘ ᲮᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲢᲣᲠ